საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 171 2019 წლის 7 თებერვალი ქ. თბილისი

„სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო ინოვაციების ცენტრისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2613 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო ინოვაციების ცენტრისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2613 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) არა უგვიანეს 2019 წლის 26 ივლისისა, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ბაზაზე ზოგადი პროფილის

არანაკლებ 25 (ოცდახუთი) საწოლზე გათვლილი სამედიცინო მომსახურების ცენტრის შექმნა, აღჭურვა (მათ შორის, ინფრასტრუქტურისა და ავტოსადგომის მოწყობა) და ფუნქციონირების დაწყება;".

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრი" (ს/კ: №405062523) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს" შორის 2015 წლის 26 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე ხელშეკრულებაში ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების შეტანამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, იმ პირობით, რომ შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრი" შეასრულებს „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო ინოვაციების ცენტრისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2613 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ" – „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**